PDF Eraser Free

დანართი №3

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნი[redacted]

[redacted]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი

მზია ბაკურიძე

(ქალაქი, წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №959812 ბრძანების (07.10.2020) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. მზია ბაკურიძე - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად განხორციელება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი" მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (განხორციელების ადგილი ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ.№2).
ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული მასწავლებლების ნაწილთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილებების საერთო მიმოხილვა:

\-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაიმატა 2019 წლის სექტემბერში საგანმანათლებლო პროგრამებთან „აღმზრდელი“ და „საექთნო საქმე“ ერთად. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია *(სააფთიაქო)* მოყვანილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის *N 274/ი* ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების ქართული ენის მოდულები შესაბამისობაში მოიყვანოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02/11/2017წ. *N695* ბრძანებასთან.

აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

დისტანციური განხილვის დროს ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის მხრივ არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია

2.3.1. **სასურველია,** საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით შეფასების პროცესში, შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ წარმოსაჩენად, მეტი დაინტერესებული მხარე იყოს წარმოდგენილი გამოკითხვებში, მაგალითად პოტენციური დამსაქმებლები, ადგილობრივი ხელისუფლების, პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	№28/2, 05.07.2019; №3/2, 19.02.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ქუთაისი, ოცხელის ქ.№2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	56 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით, ქ.ქუთაისი, ოცხელის ქ.№2
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	42 პროფესიული სტუდენტი
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	98 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით, ქ.ქუთაისი, ოცხელის ქ.№2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. [illegible] საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

(პროფესიულ-ტექნიკური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ) „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.

კვალიფიკაციის კოდი-0916.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება;

მისი მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, მათ შორის: 3 ზოგადი მოდული 11კრ., 26 პროფესიული მოდული - 109 კრ. და 1 არჩევითი მოდული - 3 კრ., ხოლო ხანგრძლივობა - 78 სასწავლო კვირა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 153 კრედიტია, ხანგრძლივობა - 98 სასწავლო კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ისეთი კადრები, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

ისევე როგორც, **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** „ფარმაცია (სააფთიაქო)“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, ასევე, **არჩევითი მოდულიც** (მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები), ჩარჩო დოკუმენტით არის განსაზღვრული და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ჩარიცხვა განხორციელდა როგორც 2019, ასევე 2020 წლის შემოდგომაზე (ჯამში 55 სტუდენტი), ფაქტიურად თითქმის სრულად მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (56 ადგილი) ათვისება, **თუმცა,** აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა ნაკადი მაინც დიდია და ამავე დროს, რეგიონში სააფთიაქო ქსელებში აფთიაქების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნაც მატულობს (გასაუბრების დროს იგივე აღნიშნა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმაც), ამიტომ მიიღეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და გამომდინარეობს პსდ-ს მისიიდან და სტრატეგიული განვითარების (2020-2027) გეგმიდან. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესი წარიმართა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება№21/2,29.06.2020წ.), საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურებითაა (მუხლი55) განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შერჩეული ორგანიზაციების მიმართულება, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ წესდების და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მიხედვით შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის პრეროგატივაა.
პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის მიერ (№28/2, 05.07.2019), პროგრამაში ცვლილება განხორციელდა ერთხელ (№3/2, 19.02.2020.)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2027);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის სამოქმედო გეგმა (2020);
- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება№38,14.06.2019წ.);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი მარეგულირებელი დებულება, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის ბრძანება;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

კერძოდ:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო, მისამართზე - ქუთაისი, ოცხელის ქ. N2.

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №5 – 51 სტუდენტზე. თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო პლაკატებით. დამატებით აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

B გარემო -კომპიუტერული კლასი - ლაბორატორია- 17 სტუდენტზე, რომელიც სრულადაა აღჭურვილი მოდულის „**ინფორმაციული წიგნიერება-2**“ განსახორციელებლად.

C გარემო-სასწავლო - პრაქტიკული აუდიტორია №22 - 26 სტუდენტზე, მათ შორის 17 პროფესიული სტუდენტის ლაბორატორიული კაბინეტი, სადაც განთავსებული არის სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო ინვენტარი.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.</u>

კერძოდ:

პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ავერსი-ფარმასთან“ და ი/მ ირმა ჯანელიძე.

ხელშეკრულების საგანია 8 პროფესიული მოდულის განხორციელება:

1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. [illegible] ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.

ი/მ ირმა ჯანელიძე - ხელშეკრულების *(№24. 22.05.2019* წელი*)* თანახმად მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმებით მიიღოს *30* სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან *3* წლის ვადით, ვადის გასვლის შემდეგ თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, ვადა გრძელდება ისევ *3* წლით.

შპს „ავერსი-ფარმა“- ხელშეკრულების №59. (25.09.2020 წელი) თანახმად, მზად არის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ქუთაისის საავადმყოფო ქსელში ყოველ მიღებაზე ერთდროულად მიიღოს 60-60 სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, ვადა გრძელდება ისევ 3 წლით.

<u>უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს შპს „ავერსი-ფარმა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების №21. (01.05.2019 წელი) თანახმად, ქუთაისის საავადმყოფო ქსელში ყოველ მიღებაზე ერთდროულად 30 სტუდენტის, ხოლო თბილისის საავადმყოფო ქსელში ყოველ მიღებაზე ერთდროულად 15 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა. თუმცა, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციამ, ასევე შპს „ავერსი-ფარმა“-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის ზრდის გამო, მიიღეს გადაწყვეტილება გაეზარდათ ყოველწლიურად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.</u>

შპს ,,ავერსი-ფარმა“-ს წარმომდგენელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში საავადმყოფო ქსელს გამოყოფილი აქვთ 200 აფთიაქი, სადაც სწავლების პროცესს უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სპეციალურად შერჩეული აფთიაქის მენეჯერები. მენეჯერების დასაქმება ამ პოზიციაზე განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: აფთიაქის მენეჯერს აქვს უცვლელი სამუშაო გრაფიკი, ფარმაცევტებისგან განსხვავებით. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა განსაზღვრულ დროს მიმართვიანობისას, შეუფერხებელ სწავლების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

რომ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს (15 პროფესიული მასწავლებელი) აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ დირექტორის ბრძნებით (№13/1, 15.07.2020) დანიშნული ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის მარეგულირებელი დებულებების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს, ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, და აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფს, შენიშვნა და რეკომენდაცია არ გაუცია. დისტანციური განხილვის დროს, ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სწავლის დაწყებიდან დღემდე, საგანმამათლებლო რესურსების დამატება/განახლება არ მომხდარა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

ექსპერტთა მოთხოვნით, დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია 38 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხანგრძლივობის (2 წელი) გათვალისწინებით, რომლის შემოსავლის ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასური და საორგანიზაციო მოსაკრებელი, ხოლო ხარჯვით ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა ხელფასი გადასახადებით, სამეურნეო, საკანცელარიო, კომუნალური, სარეკლამო, მივლინების, სტუდენტთა კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პედაგოგების და ადმინისტრაციის განვითარებისათვის, პედაგოგების და სტუდენტების წახალისების, კოლეჯის განვითარების ხარჯები, ასევე იჯარის, ქონების გადასახადის და მოგების მუხლები. პროგრამის ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარია 38 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს სტუდენტის, პროფესიული მასწავლებლის და კურსდამთავრებულის გამოკითხვებისთვის ელექტრონული კითხვარები, რომლებიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. თუმცა, პროგრამის განვითარებისთვის, შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით, სასურველია შეფასების პროცესში კიდევ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე იყოს ჩართული, მაგალითად პოტენციური დამსაქმებლები, ადგილობრივი ხელისუფლების, პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები და სხვ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომელიც ითვალისწინებს: კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის და ხელმძღვანელობს შიგა მონიტორინგის ჯგუფს; ჯგუფის მუშაობაში სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს სასწავლო ნაწილის სამსახურმა, დასაშვებია ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელი და პედაგოგები, შიგა მონიტორინგის მიერ შეფასება ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური ოქმის მიხედვით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დამოუკიდებლად ყოველი თვის დასაწყისში დაგეგმოს მინიმუმ თვეში ორჯერ თითოეულ პროგრამაზე დასწრების შესაძლებლობა. განსაზღვროს პედაგოგი, დისციპლინა და თარიღი. დასწრება დაიგეგმოს სხვადასხვა პედაგოგებთან, მეცადინეობებზე დასწრება უნდა განხორციელდეს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმს და გადასცემს საქმის წარმოების სამსახურს. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში (იანვარში და ივლისში) ორჯერ წარუდგენს ანგარიშს დირექტორს.

კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

PDF Eraser Free

საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით შეფასების პროცესში, შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ წარმოსაჩენად, მეტი დაინტერესებული მხარე იყოს წარმოდგენილი გამოკითხვებში, მაგალითად პოტენციური დამსაქმებლები, ადგილობრივი ხელისუფლების, პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ 2019 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, მეცადინეობების განრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. თუმცა გარკვეული ცვლილებები გამოიწვია პანდემიის გამო სასწავლო პროცესის შეჩერებამ და შემდგომ დისტანციურ რეჟიმში სწავლის გაგრძელებამ. დაწესებულების დირექტორის №22/2 ბრძანების (29.06.2020) საფუძველზე კოლეჯში სასწავლო პროცესი აუდიტორული სწავლების პარალელურად ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში. პროფესიული კოლეჯების მიერ შედგენილი თემატური ჯგუფების უშუალო მონაწილეობით პროგრამისთვის დადგინდა დისტანციურ რეჟიმში განსახორციელებელი მოდულები და მოდულების შედეგები, შესაბამისად დისტანციურად განსახორციელებელი მოდულების ცალკეულ შედეგებში სწავლების მეთოდებში შევიდა ცვლილებები და სწავლების ერთ ერთ ალტერნატივად დისტანციური სწავლება განისაზღვრა.
სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა მათთვის მოქნილი და მოსახერხებელი მეცადინეობების დროის შერჩევით პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციაში (შპს ავერსი ფარმას აფთიაქებში).
ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში გაწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობდა, ხოლო ამჟამად დისტანციური სწავლება საკომუნიკაციო აპლიკაციის ZOOM-ის მეშვეობით მიმდინარეობს, სწავლების ხარისხის გაკონტროლება, დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ასევე ხორციელდება დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ვიდეო ჩაწერა, ხოლო კოლეჯში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი ხორციელდება აუდიტორიაში მასწავლებლებთან უშუალო კონტაქტში, პრაქტიკული კომპონენტის შეფასება კი ინსტრუქტორებთან პრაქტიკის ბაზაზე. რაც შეეხება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, აღინიშნა, რომ ამჟამად პროგრამაზე არ სწავლობს არცერთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტი. ხოლო, რაც შეეხება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, იგი გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში (მუხლი51.).
დაწვრილებითი ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ <u>იხილეთ 2.2.1-ში.</u>
დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ქიმიურ ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სასწავლო ლაბორატორიაში ქცევის და უსაფრთხოებს წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პრ[illegible] კომპონენტის განხორციელების ადგილზე შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულება გაწერილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- სასწავლო გეგმა და დასრულებული მოდულების მეცადინეობების განრიგი;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ დაწესებულების ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21/2, 29.06.2020წ.) შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის, პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისების შემუშავების და შენახვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ვადების, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის შესახებ ჩანაწერებს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით (მუხლი57).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21/2, 29.06.2020წ.) შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	98, მოდულური, ქ.ქუთაისი, ოცხელის ქ.№2
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

PDF Eraser Free

განმარტება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს წარმოდგენილ განაცხადში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, ავტორიზაციის დროს მინიჭებულ სტუდენტთა რაოდენობად მითითებულია 60 ადგილი, ნაცვლად 56-ისა, ამიტომ ამჟამად მოთხოვნილი 42 ადგილის გათვალისწინებით, სულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, ექსპერტთა მოსაზრებით განისაზღვრება 98 ადგილით, 102 მოთხოვნილი ადგილის ნაცვლად.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი
(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

08.11.2020წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------